



სასალსო ბატური

საქართველო
საბჭოთაო

საქართველო ჟამბუკა

გაზეთის № 993

ლაგასპის № 175

შაბათი, 14 სექტემბერი 1913 წ.

უნიკალური

პიესა 4 მოქმედებად.
მოქმედები პირები:

ალექსანდრე.	} ამითი შვილები.	გიტო—ძველი დროის პრაპორჩიკი.
დარო, ამისი ცოლი.		რედაქტორი.
ზურა,		ესტატე.
რუსია,		გადია.
ელენე.		დომენტი.
ნესტორ.		დესპინე.
პავლე.		გლეხი.

მოქმედება პირველი.

სასტუმრო ოთახი ალექსანდრეს სახლში, მდიდრულად მოართული, მოსჩანს მისი კაბინეტი. სცენა ცარიელია.

შემოდის დომენტი.

დომენტი. (მორიდებით) გადია! გადია!

შემოდის გადია.

დომ. გადია, რამდენი იქნება დღეს საღილად?

გადია. იქ არის, თავის ოთახში და ჰკითხე... (გადის).

დარო. (თავის ოთახიდან) ვინ არის მან? გადია, ვის ელაპარაკები?

დომ. (კარებთან სდგას) რამდენი პერსონის პრიბოლი დავაწყო, ბ-ნო?

დარო. სამოცისა.

დომ. სხვას არაფერს მიბძანებთ?

დარ. ზუთხი ხომ მოიტანეს, ბიჭო?

დომ. დიას, მოიტანეს.

დარო. ახალია?

დომ. ცოცხალი იყო, ბ-ნო?

დარო. ახალი ხიზილალა?

დომ. გახლავე, ბატონო!

დარო. შამპანური რამდენია?

დომ. სამი ღუჭინი მე მოვიტანე და ორი ღუჭინი იასონ-მა გამოგზავნა ფეშქაშად.

დარო. კარგი... სასადილო ოთახში ფანჯრები დაადე... იცოდე, ყველაფერი ლამაზად იყოს... შენც სუფთად ჩაიცვი.

დომ. მესმის, ბ-ნო! (ოთახში მალულად იცქირება).

დარო. ბიჭო, დომენტი!

დომ. (შეერთა) ბატონო!

დარო. კიდევ აქა ხარ?

დომ. (დაიბნა) აქ ვახლავარ, ბ-ნო... აგერ ვალაგებდი ამას... (სავარძელს ასწორებს).

დარო. წადი, დესპინეს დაუძახე.

დომ. ეხლავე, ბ-ნო. (ხელს ჩაიქნევს და მიდის, კარებში დესპინე შეხვდება) ქალბატონი გეძახის.

დესპინე. (ჩქარა გაივლის სცენას და დაროს ოთახში შედის).

დარო. (სიჩუმის შემდეგ) რა უბედურებაა, დესპინე, თავის ღლეში არაფერი არ დამხვდება ხოლმე იქ, საცა დავდე... სად არის ქინძისთავეები? ეს არა... ინგლისური... შენისთანა გონება დაბნეული ადამიანის მნახველი არა ვარ... (პაუზა. ზარი. დესპინე გამოივარდება).

დარო. (გაჯავრებული) სად მიდიხარ, გოგო?

დესპ. ზარსა რეკენ, ბ-ნო...

დარო. ბიჭი გაუღებს!.. შენი საქმე გააკეთე.

დესპ. (შედის ოთახში).

დარო. (ოთახში) მთელი დღე თავმოკრილ ქათმებივით დადიხართ!.. ღმერთმა იცის, რას არ ეშმაკობთ!.. (ზარი) არ ესმის მხეცს, თუ რა ღმერთი უწყობა?! წადი, დაუძახე—გაალოს!..

დესპ. (გამოდის. მიდის მარცხნივ კარებისაკენ და ეძახის) დომენტი!

შემოდის დომენტი.

დესპ. (დაბლა) ზარი არ გესმის? რატომ არ გაუღებ?

დომ. შენ ვერ გააღებ? ჰხედავ, ხელში საქმე მაქვს!

დარო. (ოთახიდან) რასა ჩხუბობთ მანდ? (დომენტი და დესპინე ერთმანეთს ხელებით ეშუქრებიან. დომენტი დერეფანში გადის, დესპინე—დაროს ოთახში. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის დარო და დესპინე).

დარო. სირცხვილია, დესპინე, ამდენი ხანია ჩემთანა ხარ და კაბის ჩაცმა ვერ ისწავლე... აბა, როგორ დაგიბნევია ესა? (ტრიუმფალურად ტრიალებს, დესპინე ჰშველის).

დესპ. ღილი მრუდედ არის დაკერებული, ქ-ნო!

დარო. შენ კიდევ სწორედ მიაკერებდი... ეგეც მე უნდა გასწავლო?

დესპ. არ ვიცოდი, თუ დღეს ჩაიცვამდით.

დარო. არ იცოდი! ნეტავი სხვა რა იცი? (დომენტი კარს გააღებს და მარცხნივ მიდის).

შემოდის ელენე.

ელენე. Я къ тебъ безъ доклада.

დარო. ძალიან სასიამოვნოა!

ელ. Здравствуй, милочка!

დარო. გამარჯობა! (ტუჩს გაუწევს საკოცნელად. სარკესთან ტრიალებს).

ელ. შემოვიარე... მე რომ შენი ნერვების ამბავი ვიცი, ვიფიქრე, ცოტას დავამზვიდებ—მეთქი.

დარო. ძალიან კარგად გიფიქრნია... შენ მაინც მუდამ მანებობ რა ხოლმე.

ელ. ეგ სისულელეა! შენ ეს მითხარი—როგორა ხარ?

დარო. ისე... დესპინე, წადი, ოთახი დაალაგე... (სარკეს მოშორდა).

ელ. როგორ ისე? გული არ გიფანცქალებს?

დარ. ასე დამზვიდებული არასოდეს არა ვყოფილვარ.

ელ. მესმის... დარწმუნებული ხარ, რომ გამარჯვებ და იმიტომ.

დარ. არა... ისე მომზერდა ყველაფერი ეს, რომ... ნეტავი-კი ეხლა არ დამარცხდებოდეს და ხვალვე თანამდებობაზე უარს ვათქმევინებ.

ელ. ხომ არ გაგიჟდი?! სხვები ათასობით ხარჯავენ, როგორმე ეს საქმე ხელში ჩაიგდოთო და შენ-კი ამბობ—უარს ვათქმევინებო.

დარ. შეიძლება სხვებს მოსწონთ და ჩემთვის-კი უსიამოვნების მეტი არაფერი მოუტანია ამ საქმეს... რათა? რის გულისათვის?

ელ. როგორ თუ, რის გულისათვის? საზოგადოება რომ ირჩევს—ეს არაფერია?.. ხალხის მადლობა—არაფერია? საზოგადო ასპარეზზე რომ მუშაობს შენი ქმარი—არაფერია?



დარ. ჩვენთვის კმარა! ეხლა სხვებმა იმუშაონ.

ელ. არა, შენ ხუმრობ... მაგას თავის ღლეში ვერ წარმოვიდგენ... ნეტავი-კი ღმერთი ქმარს მაღირსებდეს და ასეთ ყურადღებას დაიმსახურებდეს საზოგადოებისას—ჩემზე ბედნიერი ქალი ქვეყანაზე არ იქნება.

დარ. აგრე იმიტომ ლაპარაკობ, რომ არ გიწვნივია ის სიმწარე, რომელიც ამ ბედნიერებას თანა სდევს... აბა იწვნიე...

ელ. გინდა გაცვალოთ ჩვენი მდგომარეობა და დაგიმტკიცებ, რომ მაშინაც ასე ვილაპარაკებ... რას ამბობ! შენისთანა ბედნიერი ქალი მეორეც არ მეგულება: საზოგადოებაში ცნობილი და გამოჩენილი კაცის ცოლი, ლამაზი, ახალგაზდა, მშვენიერი შვილების დედა... ღმერთმანი, უცხო კაცმა რომ შენს შვილებთან ერთად გნახოს—და-ძმანი ეგონებით.

დარ. ჩემს დესპინესაც სიამოვნებით გავუცვლიდი ჩემს ბედს.




განსვენებულ არჩ. ჯორჯაძის ბინა 1907 წ. დ. აბასთუმანში აგარაკი ფონ-ანდრესისა.

ელ. შენ ხომ მუდამ დღესა და საათს შენს ბედს დასტირი.
დარ. არც არაფერი სამხიარულო მაქვს... ცოლი, რომელიც ასეთ სიტყვებს წაიკითხავს გაზეთში თავის ქმარზე, რა სიამოვნება უნდა იგრძნოს? (გაზეთს გადასცემს) წაიკითხე!
ელ. წავიკითხე! მერე რა? ვინც არაფერს არ აკეთებს, იმაზე არც არასა სწერენ... ის გაგიკვირდეს, რაც არ დასწერონ.
დარ. განა ეს პირველია?! მოახლოვდება თუ არა არჩევნები, — მუდამ დღე ასეთი ლანძღვა-გინება! რამდენი ვებევწე, ვემუდარე — დანებე თავი, ნუ იღვამ ყუთს — არ იქნა! მგელივით შემომიბღვერს ხოლმე — „შენი საქმე არ არის!“
ელ. რა ჰქნას, საქმის კაცია, თავმოწონე... უბრძოლველად არავის უთმობს.
დარ. მერწმუნე, თავმოყვარეობის საქმე რომ იყოს, უსიტყვოდ დანებებდა თავს... რომელი თავმოყვარე კაცი ჩაჰყლაპავდა ამ სიტყვებს? (კითხულობს)... „იმედია ჩვენი საზოგადოება გამოფხიზლდება, თვალს გაახელს და ამ პასუხსაგებ თანამდებობაზე უფრო ღირსეულსა და პატიოსან კაცს აირჩევს...“
ელ. დიდი რამ მომხდარა?! ის რა კაცია, ვისაც მტერი არა ჰყავს?!
დარ. მესმის ერთი, ან ორი პირადი მტერი, მაგრამ როდესაც საზოგადოების მთელი ჯგუფი ამას ამბობს, უსათუოდ ანგარიში უნდა გაუწიოს... არავისი რჩევა, არავისი დარიგება არ უნდა.. თვითნება, ჯიუტი... ყველაფერს თავის ჭკუითა სჭრის.
ელ. ვისი რჩევა და დარიგება უნდა სჭირდებოდეს ეხლა ალექსანდრეს? ბავშვი ხომ არ არის?
დარ. ამდენი ხნის ცოლ-ქმარნი ვართ და არ მახსოვს, ერთხელ ჩემთვის რამე ეკითხოს... ყველაფერს თავის ჭკუითა სჭრის... თუ ვსთქვი რამე — ხმასაც არ გამცემს.
ელ. მისი ჭკუით ჯერ არაფერი წაუხდენია.
დარ. ეჰ, შენ ხომ მუდამ მოსარჩლედ ჰყევხარ... კარგია, თავი დაეანებოთ ამას.. (აღელვებულია) კრებაზე იყავი?
ელ. ვიყავი.
დარ. რა ამბავია?
ელ. ვერაფერი გავიგე... არ შემიშვეს... იქ რომ ვერა გნახე, აქეთკენ გამოვეშურე... ნეტა ვიცოდე, რა გაძლებინებს სახლში ასეთ დროს?
დარ. ყველაფერს თავი მივანებე...
ელ. ვისაც ვკითხე — მითხრეს: ალექსანდრე გაიმარჯვებდა.
დარ. მთელი ოჯახი არეული. სტუმარსა და მასპინძელს გარჩევა აღარ აქვს... უძილო ღამეები... რუსია ისე გახდა — მშინიან არაფერი მოუვიდეს. ზურაღ გიჟავთ დაღის ეს ერთი კვირა... მეც ისე ამეშალა ნერვები — წუხელ მთელ ღამეს ექიმი არ მომშორებია.

ელ. მართლა, მოგონებაზე... იცი ვინ მოსულა?
დარ. ვინა?
ელ. გრიშა.
დარ. რომელი გრიშა?
ელ. გრიშა სალარიშვილი.
დარ. (შეკრთა და მიაჩერდა).
ელ. როგორ არ იცი, რა ვქნა? პეტერბურგში რომ გაათავა აკადემია და იქვე დარჩა ექიმად... 18 წელიწადია სამშობლოში არ ჩამოსულა.
დარ. (არეული) ჰო, ჰო, მაგონდება.
ელ. უნდა ნახო, რა მშვენიერება! სამხედრო ტანსაცმელში წმინდა გიორგისა ჰგავს.
დარ. ჰო... რუსიაც მწერდა რალაცებს იმის შესახებ. ამბობენ, ძალიან ლამაზიაო.
ელ. კალმით ნახატია.
დარ. დიდხინით მოსულა?
ელ. სამუდამოდ... აქ გადმოუყვანიათ... „18 წელიწადია სამშობლოში აღარ ვყოფილვარ... მეყო ცივს ჩრდილოეთში ცხოვრება... ახლა მინდა ჩემი სამშობლოს ცხოველი მზით გავითბო გაციებული გულიო“... — მითხრა... ისეთი ზრდილობიანი, მშვენიერი მიხვრა-მოხვრა და ქცევა... რომ ნახო — შეგეყვარდება.
დარ. ოჰო...
ელ. გარწმუნებ! მართალი გითხრა, მეც-კი გულში გამკრა რალაცა.
დარ. მერე რა გიშავს, ცოლად წაჰყევი.
ელ. რომ შემირთავდეს — ვინ პირშავი დაფიქრდება.
დარ. (დაბარბაცდება).
ელ. (მივარდება) დარო!.. შენ გენაცვალე... რა მოგივიდა?
დარ. არაფერი, არაფერი!.. გაივლის... წყალი! (მიაწვდის) ოო, ეს ოხერი ნერვები... (აღვა) ეს არჩევნებიც რომ აღარ გათავდა!
ელ. შენს თავს რალაც არის, დარო! ამ ყოფაში ჯერ არ მინახივხარ...
დარ. შეყვარებული ვარ...
ელ. ნუ ხუმრობ ერთი...
დარ. მაშ რა უნდა იყოს?.. დაღლილი ვარ და ნერვები მაქვს აშლილი...
ელ. ღმერთმა ბძანოს, რომ აგრე იყოს...
დარ. გაღია!.. დესპანე!.. სახლს რომ (კეცხლი გაუჩნდეს — ერთს არ შემოიხედავს... უხერხული ღუმილი).
ელ. დარო, მე წავალ...
დარ. საკვირველი ადამიანი ხარ, ელენე!.. შემოიარე, ჩემი ვართობა გინდოდა — ახლა კი მიღიხარ... ჰმ... გაღია!.. ოჰ, ეს გადაყრუებული ბებერი!

შემოდის გაღია.

გაღია. რას მიბძანებ?
დარ. ყვირილით ხმა მიწყდება, სანამ მომბძანდებოდე.
გაღ. ხელში საქმე მქონდა.




განსვენებულ არჩ. ჯორჯაძის ბინა 1910 წ. დ. აბასთუმანში, პატარა აგარაკი კრილოვისა.


სასოფლო-სამეურნეო-თათბირი სოფ. საგარეჯოში



თ. კრიშტოფოვიჩი უჩვენებს ხალხს ხილის დაჩირვას.



სეტყვია! აპრიდებელი შუშუნა. „იფეთქა!“



თევზებიანი ფარცხი.

დარ. საქმე გქონდა! — ნეტა რას აკეთებთ, რომ ყველას ამოდენი საქმე გაქვთ?!

გად. სხვას არაფერს მიბძანებ?

დარ. თქვენს ხელში გაგიჟდება ადამიანი... არჩვენების ამბავი არ მოსულა?

გად. (გაკვირვებული მისჩერებია).

დარ. (ელენეს) ჰმ... ერთი შეხედე, როგორ მომჩერებია!..

ელ. დარო!..

დარო. (გადიას) რას მომჩერებინა?

გადია. (გულნატყენი) აბა რა... რა უნდა გითხრა!

დარო. წადი!..

გადია. (თავს გაიქნევს და გადის. უხერხული ღუმელი. დარო აღელვებული დადის. ელენე წასასვლელად ემზადება).

დარ. (ელენეს მოეხვევა და ჰკოცნის) მაპატიე, ჩემო ძვირფასო... გავანჩხლდი და უსიამოვნება მოგაყენე.

ელ. არა გრცხვენია? ჩემთან რა ბოდიშს იხდი. მაგრამ შენ უნდა მაწუხებ და მაშინებს.

დარ. (სავარძელში ჩაეშვა და ამოიოხრა) აჰ!..

ელ. (გვერდით მიუჯდა) დარო, შენ წამლობა გინდა.

დარ. ჰო და აკი ერთი ექიმიც მოგვმატებია... რაღა გვიჭირს! აბა ერთი შენს გრიშაზე მიაბებ რაქე.

ელ. რა უნდა გიაბო?

დარ. ჩემზე არაფერი გითხრა?

ელ. განა იცნობ?

დარ. (აირია) არა... მე კი არ ვიცნობ, მაგრამ რუსია რომ ავად იყო პეტერბურგში, თურმე ისა სწამლობდა.

ელ. ეგ არ ვიცოდი.

დარ. მაშ!.. მაინც, სხვა რა გელაპარაკა?

ელ. აბა ახლა რაღა მომავლანდება? ისეთის ალტაცებით დავიწყე და შენ-კი ცივი წყალი გადამასხი.

დარ. ჰა, ჰა, ჰა!.. ცივი წყალი საჭირო იყო შენთვის... ძალიან მგზნებარე ცეცხლი მოგდებოდა კვლავ ვეცდები კიდევ შეგუკეთო შენს ცეცხლს.

ელ. (ხუმრობით) ჩემს ცეცხლს შეკეთება აღარ სჭირდება... შენ იმასთან გაშირიგე საქმე.—იქნება მოვეწონო.

დარ. (სიცილით) გიმაჰანკლო?

ელ. შენ-კი უნდა გიხაროდეს იმისი მოსვლა.

დარ. (სახე ეცვლება) რათა?

ელ. ავადა ხარ... ახალი ექიმი, ახალი წამლები და ბოლოს... ფლირტი!

დარ. ჰოო!.. მით უფრო, ნერვებსაც თუ სწამლობს.

ელ. (სიცილით.) სპეციალისტი ყოფილა!

დარ. (სიცილით) მაშ რაღა მიჭირს!..

ელ. რას იცინი? მართლა გეუბნები! ღმერთმა ნუ ჰქნას და თუ ავად არ გავხდი, —რამე უნდა მოვიფიქრო, თავი გავასინჯავინო...

დარ. მერე რათა?

ელ. მაგისტანა ლამაზი ექიმი რომ გაგაშიშვლებს, გულზე თავს დაგადებს და ზურგში დაგიკაკუნებს, —მეორედ გაყამაწვილდები...

დარ. კარგი, კარგი, თუ ღმერთი გწამს! (ორივენი იცინიან. ზარი. სიცილი ერთბაშად შესწყდება. დაროს შიში და ცნობისმოყვარეობა ეტყობა. დესპინე სცენას გაივლის და დერეფანში გადის. ორივენი გაფაციცებით კარებს მისჩერებთან.)

შემოიჭრება ნესტორი.

ნესტორ. თავს ლაფი დავასხი ყველას!

დარ. ნესტორ, რა ამბავია?

ელ. აბა, რისი მახარობელი ხარ?

ნესტ. (ქულს მოიხდის და კუთხის მაგიდაზე სდებს) ოო, ეს უსინილისოები, ესა!

დარ. ადამიანო, ახლა აღარ იტყვი?

ელ. სთქვი, რა ამბავია?

ნესტ. პირუტყვები!

ელ. რა შენი სიკვდილია, რიგიანად არაფერს ეტყვი კაცს?

ნესტ. სუყველა ერთს თოკზე უნდა ჩამოახრჩო, ეგ არამზადები, ეგა!.. ამოდენა კაცი ვარ და მაგისტანა უპურმარილო ხალხი არ მინახავს.

დარ. ნესტორ, ნუ მოგვკალი, ადამიანო, სთქვი რა ჰქენით?

ნესტ. რა ჰქნეს, ბატონო, არ იკითხავთ? ერთი კვირა რომ ჩვენსა ძლებოდნენ ის უპირობები, —სუყველა გადაგვიდგნენ და მეორე პარტიას მიემხრნენ...

ელ. მაინც, რითი გათავდა? თქვენ რა ჰქენით?

ნესტ. ჩვენ რა ვქენით?

ელ. ჰო, თქვენ რა ჰქენით?

ნესტ. რისი?

დარ. რამ გამოაყეყეა ეს კაცი? არჩვენებისა?

ნესტ. რა არჩვენები?

დარ. არჩევნები რითი გათავდა?
ნესტ. ჰოო, ვავიმარჯვეთ!.. (ქალებს გულზე მოეშვებათ) არ მითქვამს თუ?
ელ. შე უღმერთო, ამდენი ხანი რაღად დაგვტანჯე?
დარ. განა ეს რიგიანად ადამიანს ეტყვის რასმე?
ნესტ. გიჟებივით მომვარდით... მაინც არ ვიყავი დიდი ქულის პატრონი და სულ დამაბნით ცერცვივით.
ელ. მაინც რამდენი ხმით გავიდა?
დარ. მოდი, დაჯექ, გვიამბე!
ნესტ. რა დროს ამბავია, შიმშილით ვკვდები კაცი.
ელ. მოგსწრები ჰამას... მოდი, გვიამბე.
ნესტ. როდისღა მოგვსწრები—დილიდან არაფერი მიქამია.
ელ. აჰა, აგერ სუხარია და სქამე, თანაც გვიამბე... (შუაში დასვამენ).

ნესტ. ქალების ხელში როდის მოუსვენია ადამიანს?! (სუხარსა სქამს, თანაც ლაპარაკობს) ჩვენებური არჩევნები ხომ იცით, როგორ იწყება... ჯერ შეიქნა ყვირილი, ლანძღვა-გინება... სიკომ წამოსძახა აპოლონს—„შენ სამართალში იყავი მიცემული, რა ასარჩევი კაცი ხარო“... ეს აპოლონმა იწყინა, მიიწია სიკოზე გასარტყმელად... შეიქნა ჩოჩქოლი. ლევანს ეცა მუშტი-კრივის სუნი და დაიმკლავა.

ელ. აბა ის რაა!..
ნესტ. ვეცით, ვავაჩრეთ... სიკოსთან რომ ვერა გააწყობრა, მივარდა აპოლონს და დუელში გამოიწვია.

ელ. აპოლონი?
ნესტ. ჰო!
დარ. აკი აპოლონს გამოექომავა? რაღას ერჩოდა.
ნესტ. ტყუილა, ისე...
ელ. უიმე, ხომ მოჰკლავს.
ნესტ. არა! შეგიყვანეთ ბუფეტში, ერთი ბოთლი „პივა“ გახსნეს, დალიეს და გადაკოცნეს ერთმანეთი.
ელ. მადლობა ღმერთს! მერე?
ნესტ. მერე... უჰ, ძან ბიკია იოსები, უნდა გითხრა სიმართლე... ЕСЪ ДВЕРИ ЗАПРАИТЬ... ვისაც კენჭი არა აქვს—НИКОГО НИ ПУСКАИТЬ—დაიყვირა.

ელ. ნესტორ, მომკლა შენმა რუსულმა.
დარ. რა ძალა გადგას, ქართულად ილაპარაკე.
ნესტ. რუსული უფრო მეხერხება. დადგეს ყუთები.
ელ. მერე შენ ხომ კენჭი არა გაქვს?
ნესტ. კენჭი რიბსიმეს გეკილი ვარ... დაიწყო კენჭის ყრა... მივიდა ყუთთან ი შტერი დავითი და დაიყვირა „ბ. ალექსანდრე, Я тебѣ чорни въ время дѣю... და ჩააგლო შავში... ვლკივლეთ და გავაგდეთ კარში... გათავდა. დაიწყეს თვლა. პირველი ყუთი ალექსანდრესი იყო. სულ იყო 200 ამომრჩეველი... ჯერ დათვალეს თეთრი, რასაკვირველია. 97,98,99... (სუხარსი ყელში გაეჩხირება. სახე გაუწითლდება. ველარ ლაპარაკობს, ხელით ანიშნებს წყალიო.)

ელ. რა მოგივიდა, შე უბედურო?
დარ. (წამოვარდება) დაიხრჩო, ეს ოჯახ-დაქცეული.
ნესტ. (ძლივ გასაგონად) წყალი!..
ელ. ვუიმე... ჩქარა!.. დესპინე!
დარ. (წყალი მოაქვს) აჰა, დალიე!
ნესტ. (დალივს) უჰ! კინალამ არ დავიხრჩე!
ელ. რა ღმერთი გიწყრება, შე საწყალო? ვინ მოგდგეს, ნელა სქამე!

ნესტ. ამდენი ქაქანით ნერწყვი გამიშრა პირში და ლუკმა ვერ დავასველე.
დარ. კარგი, დაისვენე მაინც.
ელ. ჰო, მერე, მერე?
ნესტ. ასი, ას-ოთხი... დაიძახა თავმჯდომარემ... აქ-კი ჩამოჰყარეს ყურები... ჩვენმა პარტიამ დაჰკრა ტაში.
დარ. მაინც რამდენი ხმით გავიდა.
ნესტ. 4.

ელ. წინა არჩევნებზე მეტი იყო.
ნესტ. პირველად რომ აირჩიეს, 6 ხმა მიიღო შავი, მაგრამ დროება გამოიცივალა.
ელ. მართალი გითხრა, ძალიან ვშიშობდი.
ნესტ. რა ბძანება! ალექსანდრესთან შესაფერი ამ თანამდებობაზე მეორე არა გყავს. ვინ უნდა გაუწიოს მეტოქეობა?

დარ. ნეტავი კი დამიჯეროს და უარი სთქვას!..
ნესტ. რაზე?
ელ. ასე დაუჭინია მთელი დღეა.
ნესტ. რაზე სთქვას უარი?
ელ. ალექსანდრემ თანამდებობაზე უარი სთქვასო.
ნესტ. ქალებს თუ ჰკუა ჰქონდეს, ღმერთი გამიწყრეს!
დარ. რას სულელლობ!
ნესტ. აბა, ეგ რა სათქმელია? კაცი ცხრა წელიწადია ამ საქმეშია, საზოგადოებას ემსახურება, გამოჩენილი, ხელმწიფის ტოლი კაცი.

დარ. ეჰ, ნესტორ, შენ არ იცი... არავინ არ იცის ის ჯოჯოხეთი, რომელიც ჩემს გულში ტრიალებს ყოველ არჩევნებზე... ქალი დაგხნეულდი! რათა? რისთვის? საზოგადოების მადლობისათვის? საზოგადოების ერთი ნახევარი მადლობას ეუბნება და იმავ დროს, მეორე ნახევარი-კი თავზე ლაფს ასხამს.

ნესტ. ჩემს სათქმელს ეს ლაპარაკობს! შენ რა გიკირს? ჩაბძანდები სავარძელში და დილიდან დაღამებამდე ფეხს არ გაანძრევ... მე უნდა ვიკითხო—ყოველ არჩევნებზე იმდენს დავრბივარ ხმების მოსაკრებად—ფეხის ძარღვები დაქიმული მაქვს... სამი წლის შემდეგ ხელმწიფის სამსახურში დანიშნავენ, ჯამაგირი ექნება და „პენცია“.

დარ. დიდად საჭიროა მაგათი პენსია?
ნესტ. ეჰ, არაფერი იცი და რა გელაპარაკო.

შემოდის დომენტი.

დომ. წერილი გახლავთ, ქ-ნო! (გადასცემს).
დარ. (წაიკითხავს და დახვეს) მუდამ ასეა...
ელ. რა იყო, ქალო, ვინა გწერს?
დარ. ჩემი უთაური ქმარი... სადილად სტუმრები ვერ მოვლენ, ვახშამად გადადევია... ამოდენა სანოვაგე უნდა გაფუჭდეს.
ნესტ. შენც არ მომიკვდე... საქმელს როგორ გავაფუჭებთ! მუქამელს იმდენს ვიშოვნე ამ დალოცვილ ქალაქში, ვერც კი გააძლობ.

(შემდეგი იქნება)

ვალ. შალიკაშვილი.



რუსეთისაკენ!..